

სოლომონ ტაბუცაძე
(საქართველო)

პოლიტიკური თეატრის იკონოგრაფია

ტოტალიტარიზმის პოლიტიკური თეატრი ყველა სხვა სახის თეატრთან განსხვავებული დემოკრატიულია, რადგან აქ ტრადიციულ სათეატრო ცხოვრებასთან დაკავშირებული არც ერთი პრობლემა თავს არ იჩენს – არც სასცენო მოედანია გამოსაძებნი, არც ბილეთებია საშოვნელი, არც აკუსტიკა მოსაგვარებელი და, მით უმეტეს, არც მაყურებელთა ადგილებია დასაჯავშნი. თეატრის ეს სახეობა, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, თუ რამეს არ მოისაკლისებს – ეს სწორედ მაყურებელთა ადგილებია, რადგან აქ ყველანი ძალაუნებურად მოხალისე მაყურებლებად და იდეოლოგიური პროდუქციის მომხმარებლებად იქცევიან. გასული საუკუნის 20-იანი წლების ერთი ცნობილი პლაკატის („ჩაენერე მოხალისედ?“) პერიფრაზირებას თუ მოვახდენთ, არსად ჩანერა საჭირო არ არის, მიდი და უყურე. მალემრწმენი თუ მოსეირე მაყურებელი ამ თეატრს არ ელევა (ვერც ელევა!) და ყველაზე სახილველი და თვალსაჩინო ამ სივრცეში სწორედ პოლიტიკური პლაკატია, რადგან იგი არის პოლიტიკის კონცენტრირებული სახე და მისი როლი ძალაუფლების სიმბოლურ რეპრეზენტაციაში განუზომლად დიდია.

საბჭოთა პოლიტიკური პლაკატის ჩასახვა და ფორმირება მსოფლიოს ახალი ქვეყანა-წარმონაქმნის წერა-კითხვის უცოდინარი მოსახლეობის არსებობის პირობებში ხდებოდა. საბჭოთა ხელისუფლება პოლიტიკური განათლების სფეროში უპირატესობას ანიჭებდა „თვალს“, რაც იმას ნიშნავდა, რომ მთელი შემოქმედებითი ძალისხმევა მიმართული იყო ვიზუალურ პროპაგანდაზე, რადგან ამ ტიპის თვალსაჩინოება ყველასთვის მისაწვდომი და მეტნაკლებად გასაგები უნდა ყოფილიყო. პიერ ბურდიეს მიხედვით „ხედვა“ არის ისტორიის პროდუქტი, რომელსაც განათლების სისტემა აყალიბებს და იმ ეპოქის საბჭოელი ადამიანის განათლებულობა წერა-კითხვის ცოდნას გულისხმობდა. „ნიგინერის“ კლასიფიკაცია, როგორც ვიქტორია ბონელი წერს, 1920-იანი წლებში ენიჭებოდა ადამიანებს, რომელთაც ელემენტარული წერა-კითხვა იცოდნენ <...> ვიზუალური პროპაგანდა, რომელიც მნიშვნელოვნად ამცირებდა დაწერილი ტექსტის გაგების აუცილებლობას, საშუალებას იძლეოდა, მოსახლეობის ფართო ფენებამდე მიეტანა ბოლშევიკების სათქმელი¹. ამავდროულად ინფორმაციით, ვლადიმერ ლენინის ცოლი, ნადეჟდა კრუპსკაია 1923 წელს აღნიშნავდა: „ანმყოფი და ახლო მომავალში გლუხს თავისი ნაწარმის

1 ვიქტორია ბონელი. ძალაუფლების იკონოგრაფია (საბჭოთა პოლიტიკური პლაკატები ლენინის და სტალინის დროს). მთარგმნელები: ლამარა შავგულიძე, გაგა ლომიძე. გამომცემლობა CCU Press., თბილისი: 2019).

გაუმჯობესება შეუძლია, თუკი მას ხილული მაგალითით ვასწავლით. ზოგადად, გლეხები, ისევე როგორც მუშები, უფრო მეტად გამოსახულებებით აზროვნებენ, ვიდრე აბსტრაქტული ფორმულებით; წიგნიერების მაღალი დონის პირობებშიც, ვიზუალური ილუსტრაციები ყოველთვის უფრო დიდ როლს ითამაშებს გლეხებისთვის“. ასე რომ, პლაკატის განსაკუთრებული როლი იმითაც დასტურდება, რომ იგი მისაწვდომია ყველასათვის და მისი უპირატესობაც ეს არის; ამით იყო განაპირობებული, რომ პოლიტპლაკატმა უაღრესად დიდი როლი შეასრულა ბოლშევიკური იდეოლოგიის გავრცელებაში, დამკვიდრებასა და საბჭოთა იდენტობის ფორმირებაში.

პოლიტიკური პლაკატის კიდევ ერთ საპეციფიკურ ნიშანზე მიუთითებენ: პლაკატი არის სადაგი ყოფისა და საერთოდ – ყოველდღიურობის „შეუმჩნეველი“, ვიზუალური ფენომენი, რადგან იგი გათვლილია არა რაიმე ტიპის რეცეფციაზე, არამედ აღქმის ავტომატიზმზე; დაბოლოს, პლაკატი არის ძალაუფლების ინტენციის გამოხატულება და სოციალური მობილიზაციის ფაქტორი.

პოლიტიკური პლაკატის სოციალური ფუნქციონირების ამ ასპექტებს ეძღვნება ამერიკელი სოციოლოგისა და ისტორიკოსის ვიქტორია ბონელის უკვე მითითებული წიგნი „ძალაუფლების იკონოგრაფია“, რომელიც ქართულადაც ითარგმნა და უკვე ხელმისაწვდომია ტოტალიტარიზმის პოლიტიკური ასპექტებისა და საერთოდ პოლიტიკური კულტურის კვლევებით დაინტერესებული მკითხველისათვის.

წიგნში წარმოდგენილია საბჭოთა პლაკატის ისტორიაც, სოციოლოგიაც და ესთეტიკაც; ნათლად არის წარმოდგენილი თუ როგორ იყენებდა ოფიციალური იდეოლოგია „ვიზუალურ ნარატივებს“, როგორ ახდენდა საზოგადოების „მენტალური უნივერსუმის“ კონსტრუირებას, რარიგად ქმნიდა თავის ვიზუალურ ენას, რომელიც მძლავრად ზემოქმედებდა მასობრივი ფსიქოლოგიის სიღრმისეულ („ვერბალობამდელ“) დონეზე.

ჩანს, ვიქტორია ბონელის სააზროვნო იმპულსად ქცეულა ის ფაქტი, რომ „30-იანი წლებიდან მოყოლებული, პოლიტიკურ ხელოვნებას საზოგადოება უნდა უზრუნველყო აზროვნებისა და ქცევის ახალი მოდელების ვიზუალური სცენარით“. შექმნილ მედიუმში ანმყო და წარსული არ უნდა განსხვავებულიყო და პლაკატი თითქოს განჭვრეტდა საბჭოთა საზოგადოების განვითარების გზას და უმეტეს შემთხვევაში იძლეოდა მოდელებს, რომლის მიხედვითაც უნდა წარმართულიყო ეს განვითარება – ანუ წინასწარ უხაზავდა და უპროექტებდა სავალს; სამომავლო გზა იყო უმთავრესი და ამიტომ პლაკატზე თითქმის არ აისახებოდა ანმყოში მიმდინარე პროცესები. პლაკატის სახე („ინჟან“-ი) ახდენდა „რეალობის კონცეპტუალიზებას“ და მასობრივ ცნობიერებაში ნერგავდა თავისებურ „ოფიციალურად წარმოსადგენს“, ხოლო ვიზუალურ და ენობრივ სახეთა ურთიერთზემოქმედება ბადებდა „მნიშვნელობის ნამეტ ღირებულებას“. საბჭოთა პლაკატით შექმნილ ამ „პოლიტიკურ კაპიტალს“, „იდეოლოგიური წარმოების“ ლექსიკონსა და სინტაქსის ვიზუალიზებული არქექტიპების

დონეზე ანალიზებს წიგნის ავტორი. არქეტიპთა ასეთ ძირითად ტიპს განეკუთვნება მუშის იკონოგრაფია, ქალის რეპრეზენტაცია ადრეულ საბჭოთა პლაკატზე, კოლმეურნე ქალი 30-იანი წლების პლაკატზე, ბელადის იკონოგრაფია და, ბოლოს, ბოლშევიკური დემონოლოგია.

ადრეული საბჭოთა პლაკატების ალეგორია-სიმბოლოებიდან მოყოლებული – პირველი ხუთწლედების ეპოქის მონტაჟური პლაკატების ჩათვლით – გაჩაღებული „სოცრეალიზმის“ ომის შემდგომი პლაკატ-ტილოებით დამთავრებული, წიგნში ნაჩვენებია სოციალისტური პლაკატის სტილური ძიებების გზა და ის, თუ როგორ იზადებოდა პლაკატის „ტიპაჟი“ (მაგალითად, პლაკატის „რუსი დედაკაცი“ თვალდათვალ როგორ გარდაისახა ჯერ „შეგნებულ“, ხოლო შემდეგ „მონინავე კოლმეურნედ“), როგორ იცვლებოდა პლაკატის ფუნქციურობა (ამ თვალსაზრისით 30-იანი წლების, სოციალური მობილიზაციის ეპოქის პლაკატი მკვეთრად განსხვავდებოდა გვიანი სტალინიზმის დიადი ეპოქის ანუ „მშვიდობისათვის“ და „კულტურისათვის“ ბრძოლის პლაკატებისაგან), როგორ შეიცვალა ოცდაათი წლის განმავლობაში პლაკატის სტრუქტურა.

საგულისხმოა კიდევ ერთი ფაქტი, რომელიც ხატწერის რუსულ ტრადიციას უკავშირდება და რაც ავტორის საგანგებო ყურადღებას იქცევს. საბჭოთა პლაკატმაო, ბრძანებს ავტორი, მართლმადიდებლური ხატწერის ტრადიციის ექსპლოატაციას მიჰყო ხელი, რადგან იგი არსებითად ხატს ჩაენაცვლაო. ამ აზრით, ადრეული საბჭოთა წლების ხატმებრძოლობა თურმე მიზნად ისახავდა „ხატის ექსპროპრიაციას“, რაც განსაკუთრებით კარგად გამოიყვანდა 30-50-იანი წლების ბელადის იკონოგრაფიაშიო.

პლაკატის სიმბოლოკისა და მონტაჟის სტილიდან მოყოლებული და სოცრეალისტურ „ლუბოკამდე“ განვლილ სტილურ ცვლებას-გარდასახვებს თავის ლოგიკაც ჰქინდა: პლაკატს უნდა შეეცვალა რეალობა. თუ უფრო ფართო კონტექსტს მოვიშველიებთ და საბჭოთა ლიტერატურას კინოსა და არქიტექტურას გავითვალისწინებთ, თვალნათლივ დავინახავთ, რომ სოციალისტური წარმოება იყო არა უბრალოდ სიმბოლოების წარმოება, არამედ რეალობის ჩანაცვლება ვიზუალური ად ვერბალური შემცვლელით. ამიტომაცა ჰქონდა განუზომლად დიდი როლი მინიჭებული ხელოვნებას „რეალური სოციალიზმის“ პოლიტიკურ-ესთეტიკურ პროექტში. კეძოდ და კონკრეტულად საბჭოთა პლაკატის ისტორია – ეს არის რევოლუციის მიერ ანექსირებული კულტურული სივრცის რეალობის სუროგატული სახეებით შევსების ისტორია.

ვიქტორია ბონელის წიგნიდან უფროსი თაობისათვის, როგორც იტყვიან, ტკივილამდე ნაცნობი პლაკატური სურათ-ხატები შემოგვყურებენ, რომლებიც მოჩვენებათა ერთიან ქოროში გაერთინებულნი, „მენტალურ უნივერსუმზე“ ზემოქმედებენ და „ახალ მისტიკასა“ ქმნიან. პლაკატის ენაზე ამეტყველებული მთელი ეპოქაა თვალწინ. რად ღირს თუნდაც დიმიტრი მოორის 1920-იანი წლების ლეგენდარული, კლასიკად ქცეული საბჭოთა პლაკატის –

„ჩაენერე მოხალისედ?“-ის გახსენება... ილუსტრაციებიდან გთავაზობენ შრომის იარაღის ყველა პრიმიტიულ სახეობას, შთაგვაგონებენ, რომ „კადრები ნყვეტს ყველაფერს“, გასწავლიან, რომ „ქალი კოლმეურნეობაში დიდი ძალაა“, გაიმედებენ, რომ „ყველა ჩვენგანზე ზრუნავს სტალინი კრემლში“, რომ ის არის „კომუნიზმის დიადი შუქურა“... ერთი სიტყვით, ეს არის პლაკატის ენით გადმოცემული საბჭოთა ეპოქის ფუნდამენტური ლექსიკონი.

საბჭოეთში პლაკატების რაოდენობა უცხოელებს აოცებდა. ამერიკელი ჟურნალისტი ალბერტ რაის უილიამსი 1923 წელს წერდა: „რუსეთში ჩასულ სტუმარს მაშინვე თვალში მოხვდება პლაკატების სიმრავლე – ფაბრიკებსა და ყაზარმებში, კედლებსა და რკინიგზის ვაგონებზე თუ ტელეგრაფის ბოძებზე – ყველგან“)

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც პლაკატზე ფიქრისა თუ წერისას აღიძვრის – ეს არის ბეჭდვისა და საბეჭდი მანქანის საკითხი: პლაკატის ეფექტურობა მისი ტირაჟით განისაზღვრება. ვიქტორია ბონელი აღწერს და გვანვდის უნიკალურ ინფორმაცია საბჭოთა პლაკატის კოლექციების შესახებ. თურმე რუსეთი ეროვნულ ბიბლიოთეკაში (ე.წ. „ლენინკაში“) ოთხასი ათასი პლაკატია, კიდევ ათეულობით ათასი რევოლუციის მუზეუმში, რუსეთის ლიტერატურისა და ხელოვნების ეროვნულ არქივში, ბრიტანეთის მუზეუმში, გუვერის ინსტიტუტში...მოკლედ, ეს ყოფილა კოლოსალური რაოდენობა პლაკატებისა, რითაც შეიძლება წარმოვიდგინოთ თუ რა კოლოსალური მასშტაბები ჰქონდა ადამიანთა მასობრივ ინტოქსიკაციას.

20-50-იანი წლების პლაკატის გაქვეავებული სურათ-ხატები, რომლებთანაც ასოცირდება საბჭოთა ეპოქა, არა მხოლოდ შეხსენებაა წარსულისა, არამედ სოციალური დიაგნოსტიკის საშუალებაცაა. მისი პოლიტიკური სემანტიკა ადვილმისაწვდომობისა და სწორხაზოვნებისა გამო მას საშიშ, ეფექტურ ინსტრუმენტად აქცევს და ამიტომაცაა მნიშვნელოვანი ახალ ესთეტიკაშიც, ახალ ენაზეც პოლიტიკური არქეტიპების ამოკითხვა. ამ ამო(ნა)კითხვას გვასწავლის „ძალაუფლების იკონოგრაფია“.

საბჭოთა პოლიტიკურ პლაკატზე შექმნილი ნაშრომისადმი ჩვენი ყურადღება უპირველესად მისმა გადმოქართლებამ განაპირობა და უფრო იმის სურვილმა, რომ ასეთივე საგულისხმო ნაშრომი იქნებ ქართულ საბჭოთა საპლაკატო ხელოვნებაზეც შექმნილიყო. ვიცით ცალკეული ცდების შესახებ, მაგრამ, რამდენადაც ჩვენთვისაა ცნობილი, მონოგრაფიული სახით ასეთი ნაშრომი არ შექმნილა.

**Solomon Tabutsadze
(Georgia)**

Iconography of Political Thearte

Summary

Key words: Stalin, political posters, totalitarianism.

The letter is dedicated to the fact of translating the book «Iconography of Power» by American sociologist and historian Victoria Bonelli.

The political poster is a mirror of its era, as it depicts visual narratives of official ideology and provides visual scenarios of new patterns of behavior. The poster plays a role as an indicator for reflecting on the political aspects of totalitarianism, particularly the Soviet past, as it conceptualizes the reality of that era.

The book describes the stages of forming the Soviet political poster as an expression of power, the factor of social mobilization, and the visual phenomenon of everyday life.

The pictures on the Soviet poster are not only reminders of the past, but also help with social diagnostics. Understanding and reading its political archetypes and semantics is desirable right now in the post-Soviet era. This type of reading is taught by Victoria Bonnell's book "Iconography of Power", which gives us a desire to research and create a work on the Georgian political poster.